საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№366/1

2024 წელი, 17 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა ლომინაძის, ვლადიმერ კახაძის, დიმიტრი ხუნდაძის და ზაალ მიქელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/450; 12.06.2024) საქართველოს კანონის პროექტები და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი